საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამუჩიშვილი ინგა გოდერძის ასული

მამუჩიშვილი ინგა გოდერძის ასული (დ. 17. VI. 1962, თბილისი), პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (2007). 1988 დაამთავრა მოსკოვის II სამედ. ინ-ტი. 1991 მუშაობდა თბილ. კრწანისის რ-ნის მთ. პედიატრად, ამავე წელს – არაბეთის გაერთიანებული ემირატების წითელი ჯვრის კლინიკის პედიატრად. იყო თსსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის პედიატრიის კათედრის ასისტენტი (1996–2004), დოცენტი (2004–06), პროფესორი (2008), ძმები ზუბალაშვილების სახ. პედიატრიული კლინიკის დირექტორი (2004–11), საქართვ. ეროვნ. უნ-ტის პროფესორი (2011–19), მაღალი ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის კონსულტანტი (2011–15), 2015–17 მუშაობდა კლინიკა „Medical House“-ში, 2017-იდან – „მზიურ მედიში“, 2019-იდან ხელმძღვანელობს კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსის“ პედიატრიულ ამბულატორიულ დეპარტამენტს.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ძირითადად ეხება პედიატრიის, ალერგოლოგია-იმუნოლოგიის, სამედ. ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, 2016 დასახელდა წლის საუკეთესო პედიატრად.

თხზ.: სტრეს-მაინდუცირებელი რისკ-ფაქტორების მოქმედება ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე, თბ., 2008.